პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ოთხშაბათი 23 დეკემბერი № 294 (18236) ფასი 2 კაპ.

ახლა მთავარია მაქსიმალური მოგზილიზება, რათა წარმატებით დავამთავროთ 1981!

ასამოქმედებელ ობიექტებზე

ტემპი! დრო იწურება!

გვატყობინებს „კომუნისტის“ საგუშაგო

წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის მშენებლობა. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ფაბრიკის ამოქმედება ერთი წლით ადრე, მიმდინარე წლის ბოლოსათვის იკისრეს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას მეხუთე ტრესტის ზუგდიდის № 26 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშენებლებმა მოიჯარე ორგანიზაციებთან ერთად. ეს არცთუ ისე იოლი საქმეა და დიდ მუშაობას მოითხოვს. ფაბრიკის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონ 700 ათას მანეთს შეადგენს, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 2 მილიონ 700 ათას მანეთს.

მშენებელთა ამ პატრიოტულ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი საშენი მასალების მომწოდებელმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს. მძიმეწონიანი სატვირთო ავტომობილები ობიექტზე განუწყვეტლივ ეზიდებიან რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, გადახურვისათვის საჭირო ფილებს, საკედლე პანელებს, ხე-ტყეს, ინერტულ და სხვა საშენ მასალებს. ხუთრობა ხომ არ არის, ფაბრიკის პირველი რიგის წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის დიდძალი სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სახეობის სამუშაოების შესრულება, მუშაობის ტემპის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება.

ამიტომ მშენებლობის ხელმძღვანელობის ოპერატიულმა შტაბმა, რომელსაც პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა მეთაურობს, გადაწყვიტა რაიონის კომუნურნეობების თავმჯდომარეების, მეურნეობების დირექტორების სამუშაო დღე მშენებარე ფაბრიკიდან დაიწყოს. ეს ნიშნავს, რომ კონტროლი გაუწიონ მათ მიერ მობილზებულ მუშახელს, ტექნიკას.

ობიექტზე ყოველდღიურად დადიან და მშენებლებს ოპერატიულად ეხმარებიან რაიონისა და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების თავმჯდომარეები ი. კუტალია და ჯ. შენგელი, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მეორე მდივნები მ. არდია და ა. ზოდელავა. „საქჩაის“ ტრესტის ზუგდიდის გაერთიანების გენერალური დირექტორი რ. ივარდავა, ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორი გრ. ნარმანია.

ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. თუ 1 დეკემბერს მშენებლობის ყველა ობიექტზე მომუშავე 168 კაციდან 65 რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელი იყო, 2 დეკემბერს 252-დან 148, ხოლო 3 დეკემბერს მათი რიცხვი 165-მდე გაიზარდა. ამ საქმეს ასევე დიდი ღვაწლი დასდეს ქალაქის წარმოება-დაწესებულებებმა.

რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელები არა მარტო მუშახელითა და სპეციალისტებით ეხმარებიან მშენებლებს, არამედ ტექნიკითაც. მუშა სპეციალისტების ბრიგადები მიაშველეს მშენებლებს ინგირის, ტყაიას, დოდიჭეის, ახალსოფლის, ანაკლიის, განმუხურის, დარჩელის, ზედა ეწრის, ჭაქვინჯის, ორკონიკიძისა და კახათის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. ახლა რაიონის მთელი შრომითი რესურსები და ტექნიკა მობილიზებულია მშენებლობაზე.

ათობით ხურო თუ მემონტაჟე, მებეტონე თუ მეარმატურე გულმოდგინედ შრომობს სასაწყობო მეურნეობისა და ფაბრიკის მთავარი კორპუსის მშენებლობაზე. მოზაიკეს იატაკი, რომელიც 4.116 კვადრატულ მეტრზეა დასაგები, მალე დამთავრდება. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მთავარი კორპუსის ტიხარებისა და საბაუმეში სამუშაოები. 5 ათასი კვადრატული მეტრიდან დღემდე გაკეთებულია 4009 კვადრატული მეტრი ტიხარი, რომლის ორივე მხარეზე 8.600 კვადრატული მეტრი შელესილია. მშენებლებმა დარჩენილი სამუშაოების დამთავრება 10 დღეში ივალდებულეს.

მართალია, მუშაობაში გარდატეხა საგრძნობია, მაგრამ სამშენებლო პოლიგონებზე კვლავ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. მშენებელ-მემონტაჟენი მაქსიმალურად როდი არიან დასაქმებული. მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ტექნიკა ხშირად ფუჭდება, ამიტომ აქ ინდუსტრიული მეთოდით მშენებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, შრომის დისციპლინაც მოისურტებს.

შემოწმების დღეს დაუცლელი იდგა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით დატვირთული ოთხი სიმკარმზიდი მანქანა. მძღოლებმა საყვედური გამოთქვეს: კაბელ-ამწეები არ მუშაობს, ინგირის რკინიგზის სადგურიდან დღეში მხოლოდ ერთ რეისს ვაკეთებთ, თუმცა 4-5 რეისს მოვასწრებდითო.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კომკურა ამწეების სპეციალიზებული სამმართველოს მუშაკები უნიათოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, მათი ორი კომკურა ამწე დღემდე გაუმართავია, არც მეამწეები ჰყავთ, ამიტომ მშენებლობაზე ფერხდება საშენი მასალების ახდა, მუშები ცდებიან.

ფაბრიკა მზად არის რბილი გადახურვისათვის, მაგრამ ბიტუმის უქონლობის გამო გადახურვა ჭიანურდება. ეს მით უფრო დასანანია, რომ ხანგრძლივი კოკისპირული წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, გამოიდარა. არადა, სამუშაო მალე უნდა დამთავრდეს, რადგან წვიმიან ამინდებში მუშები სართულთშორის სამუშაოებს ვერ შეასრულებენ.

სხვა მოსაგვარებელ საკითხებთან ერთად, არ შეიძლება გულისტკივილით არ ავღნიშნოთ ბარის, ძალაყინის, ნიჩბის, განსაკუთრებით, ვედროების ნაკლებობა, რომლებსაც მშენებლები სავაჭრო ორგანიზაციებშიც ვერ იძენენ. აკლიათ აგრეთვე სპეცტანსაცმელიც.

ამ და სხვა ნაკლოვანებების სწრაფად აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მუშაობის უკეთ წარმართვას და ობიექტის დანიშნულ დროზე ამოქმედებას.

„კომუნისტის“ საგუშაგო
ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის მშენებლობაზე: ვ. ბაბუაია — სამუშაოთა მწარმოებელი, ზუგდიდის № 26 მოძრავ-მექანიზებული კოლონის პარტბიურომ მდივანი; შ. სახურია — მშენებელი ოსტატი; ლ. ლომაია — ამწის მემანქანე; ბ. სიმონია — სპეციალური მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი; ჯ. ბერძენიძე — ზუგდიდის საქალაქო რადიოგადაცემათა კორესპონდენტ-ორგანიზატორი; ბ. ნოდია — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ზეიმობენ ქართველი ენერგეტიკოსები

სრული სიმძლავრით ამოქმედდა ამერიკაკავასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური — ენგურჰესი. გრძელდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ბოლო მთის სოფელ ომალოში ელექტროდენი მივიდა. მთის კიდევ ას სოფელში რეკონსტრუირებულია მანაწილებელი ქსელი. მოგვარებულია ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდება საგარეჯოს, წითელწყაროს, მარნეულის რაიონების მეცხოველეობის ფერმებში. ამ და კიდევ სხვა კეთილი საქმეებით გაახარეს რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს ენერგეტიკოსებმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

ენერგეტიკოსის დღის აღსანიშნავად თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება.

მოხსენება გააკეთა „საქმთავარენერგოს“ უფროსმა ი. ჭედიამ. საქართველოს ენერგეტიკოსებს მიესალმნენ ენგურჰესის დირექტორი შ. მაისურაძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. მეტონიძე და სხვები.

საზეიმო სხდომას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეშრომელთა ინიციატივა

ეფექტიანი შეთანხმება

იმისათვის, რომ შესრულდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო პროგრამა, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედისა და ოთხმოციანი წლებისათვის არის დასახული, საჭიროა წარმოებაში მოვაქციოთ უდიდესი ნედლეული, სათბომ —ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები. მაგრამ ნედლეულისა და სათბობის მოპოვება სულ უფრო ძვირი ჯდება, ბოლო წიაღისეულის მარაგი ამოუწურავი როდია, ასეთ პირობებში ყველა სახეობის მატერიალური რესურსების უაღრესად მომჭირნე და რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ წელს იცვლება პროდუქციის მასალატევადობა და ნელა მცირდება მისი თვითღირებულება. ერთი სიტყვით, კიდევ ერთი და შეუპოვარი მუშაობა მოგველის იმისათვის, რომ ეკონომია ნამდვილად ეფექტიანი გავხადოთ. ამიტომ ყველა საწარმოს ოლექტივმა, სამეურნეო ხელმძღვანელმა, ყველა პარტიულმა კომიტეტმა თავიდან ბოლომდე კიდევ მეტი შეუპოვრობით უნდა „ებრძოლოს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის“.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამ ამოცანის გადაწყვეტაში უთუოდ დიდი როლი უნდა შეასრულონ გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა, ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლი ადგილების ნამდვილმა გვარდიელებმა. ახლა საჭიროა მათი შემოქმედებითი უნარი, ძირითადად, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართოს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ „გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს რჩება მიეცა უზრუნველყოს მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარება, აამაღლოს მათი აქტიურობა ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში, მატერიალური რესურსების მომჭირნეობის რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში, შექმნან სამინისტროებთან, უწყებებთან და საერთაოანებებთან არსებულ ამ საზოგადოებათა პირველადს ორგანიზაციებსა და საწარმოებში სპეციალური სექციები, რომლებიც „მუშავებენ წარმოების მასალატევადობის შემცირების საკითხებზე.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების ნოვატორებმა ეს დადგენილება სამოქმედო პროგრამად აღიარეს და ფართოდ გაშალეს მუშაობა მისი განხორციელებისათვის. საქართველოს შემოქმედებითი აზროვნების მუშაებმა და სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ „ეს შესწევთ უნარი გადაწყვეტონ რთული ტექნიკური ხასიათის ამოცანები და ქვეყანას დიდძალი მატერიალური რესურსები დაუზოგონ. რესპუბლიკის ნოვატორებმა განსაკუთრებულ აღმავლობას „ეგიო ბუთწლედში მიაღწიეს. ამ პერიოდში დაინერგა მათ მიერ შემოთავაზებული 1740 გამოგონება და 124,5 ათასი რაციონალიზატორული წინადადება. სიახლეთა განხორციელებით 368,8 მილიონი, ანუ ვალდებულებით ნაკისრზე 135 მილიონი მანეთით მეტი „ეზოგა. სახალხოვნოა, რომ წინადადებათა უმეტესობა მასალების, „ედლეულის, ელექტროენერგიისა და სათბობის ეკონომიასთან „ჩრს დაკავშირებული.

როცა მეათე ხუთწლედში ნოვატორთა განსაკუთრებულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ხელთა გვაქვს, რა თქმა უნდა, წინა პერიოდის მაჩვენებლებიც. საქმე ის არის, რომ მეათე ხუთწლედში „ეცხრე ხუთწლედთან შედარებით რაციონალიზატორთა რიცხვი 1551-ით, ხოლო წინადადებათა რაოდენობა 12778-ით გაიზარდა. „ეუნერგიულია, რომ საერთო ეკონომიამაც მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 176 მილიონი მანეთით მეტი შეადგინა.

მეთერთმეტე ხუთწლედში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სატრანსპორტო და სამშენებლო „ორგანიზაციათა, აგრეთვე სოფლის რაციონალიზატორები მთლიანად უნდა ჩაებან საერთო-სახალხო მოძრაობაში მატერიალური და „ანამბო-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისა„ეგის. ამ საკითხს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური „ი საბჭოს IX პლენუმი მიეძღვნა. მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს ნოვატორები დანერგავენ იმდენ სიახლეს, „ამდენიც საშუალებას მისცემს მათ სახელმწიფოს სულ ცოტა 360 „ილიონი მანეთი დაუზოგონ. ნოვატორთა მოღვაწეობის მიმდინარე „ლის შედეგები ჯერ არ შეჯამებულა, მაგრამ წლის პირველი „ანეკრის მონაცემები მოწმობს, რომ იხინი სიტყვას არ გატეხენ.

მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარების ავანგარდში „ანან ქალაქ ჭუთაისის სამრეწველო საწარმოთა რაციონალიზატორები. ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, მაგალითად, რაციონალიზატორმა ო. გოკაკაშ და დ. მიქელაძემ შეიტანეს „ინადადებები, რომელთა დანერგვაც საწარმოებს წელიწადში 80 ტონა შავ ლითონს უზოგავს. აქტიურად იბრძვიან მომჭირნეობისა„ეის ჭუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ნოვატორებიც. აღ„ენიშნავია, რომ ჭუთაისის სამრეწველო საწარმოებმა რაციონალიზატორულ სიახლეთა დანერგვით მარტო წლის პირველ ნახევარში „ეი 20 ტონა შავი და 56 ტონა ფერადი ლითონი დაზოგეს. ეს კი იმის „ეედგენი, რომ საწარმოთა დირექციები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სწორად წარმართავენ ნოვატორთა შემოქმედებითს მუშაობას, გულისყურით ეკიდებიან მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებების განხორციელებას.

ცხოვრებაზე ცხადია, რომ აქ, სადაც ადმინისტრაცია, პარტიული „ა პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე არიან, „ეარსებულ ნოვატორთა რიცხვი, მატულობს შემოთავაზებულ წი„ეადადებათა რაოდენობა და იზრდება მათგან მიღებული ეკონომიური „ეფექტი. ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნიან „საქმთავარენერგო“, „ინილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, თბილისის სტალინ„ის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, თბილისის მართული „ა ჭუთაისი მანქანების, ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავ„ტომობილო ქარხნები, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმარ„ეთველო და ზოგიერთი სხვა.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მშრომელთა მასობრივი „ეტექნიკური შემოქმედების განვითარებაში, გამოგონებათა და რა„ეიონალიზატორული წინადადებების შერჩევასა და დანერგვაში, „ეიონალიზატორული ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის „ეაოდენობა ჯერაოდენ ფართოდ ეფექტიანად ვერ ხორციელდება. „ეაოდენ ენერგეტიკული ბაზა, ენერგეტიკული ობიექტები, „ეაოდენ ენერგია,

პარტიული ცხოვრება: რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები

აქტიურობა მადლია კაცისა

ცოტა და, ისტორიის კუთვნილება გახდება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი. მეტად არაწესიერი კლიმატური პირობების მიუხედავად, წლის დამდეგიდან დღემდე განვლილი დროის მონაკვეთი წარმატებული გამოდგა ოთხივე, საერთოდ, ჩვენი რესპუბლიკის, ისე, კერძოდ, ყვარლის რაიონის მშრომელებისათვის. რაიონში კვლავ იჩრდება სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, ფართოვდება კაპიტალურ მშენებლობათა მასშტაბი, სამრეწველო რელსებზე გადადის სოფლის მეურნეობა, კეთილწყობა და მშვენდება რაიონული ცენტრი... და, რაც მთავარია, ყვარელელი მშრომელები დიდი მონდომებით, შემართებით იღვწიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის.

ხოლო იმ ამოცანათა რეალიზაციის საქმეში, რომლებიც ამ ყრილობებმა დაგვისახეს, უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნებათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ბრძოლისუნარიანობას, დარაზმულობას. ამ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცდნენ რაიონული პარტიული ორგანიზაცია, პირველადი პარტორგანიზაციები.

ამ საკითხებს, აგრეთვე თითოეული კომუნისტის აქტიურობის, ინიციატივის განვითარებას პარტიის რაიკომი, მისი ბიუროდიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს საკითხი. კომუნისტებმა რეალურად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა, გამოამზეურეს დარგის ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზები. კერძოდ, კომუნისტებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ ფერმაში უხეშად ირღვეოდა კვების რეჟიმი, მოშლილი იყო აღრიცხვიანობა, არ კმაოდა პირუტყვის სკკეები, მეურნეობას პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები, დირექცია ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ მწყურვსა საყოფაცხოვრებო პირობებს, მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებებს.

მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა და დირექციამ კრიტიკადან სწორი დასკვნები გამოიტანეს. მათ მეცხოველეობაში სამუშაოდ გაგზავნეს ინიციატივიანი კომუნისტები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკვები ბაზის განმტკიცებას, მოწინავე მწყემსებისათვის დაწესდა გარდამავალი ვიმპელები, ფულადი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები, სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა საბრიგადო პარტორგანიზაცია. შედეგმაც არ დაყოვნა — ამჟამად აქაური მეცხოველეები რაიონში პირველობას არავის უთმობენ. მათ მიმდინარე წლის რძის წარმოებისა და დამზადების გეგმები კონსტატუციის დღისათვის 7 ოქტომბრისათვის განაღიდეს და ახლა მომავალი წლის ანგარიშში ზრომობენ. ამ კოლექტივის წევრები ვ. მაზანაშვილი და რ. ბურდიაშვილი კი რაიონის მოწინავე მწველავები არიან.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი: ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში ტექნიკისა და მექანიზატორთა კადრების ნაკლებობის გამო მიწის სამუშაოები ფერხდებოდა. პარტიულ კრებაზე, რომელიც ამ საკითხს განიხილავდა, ლენინის ორდენოსანმა, კომუნისტმა მექანიზატორმა მ. უულიჯანოვმა საყურადღებო წინადადება. წამოაყენა. მან თანამოსაქმეებს შესთავაზა შესაწყამლ აგრეგატებზე დაემონტაჟებინათ კულტივატორები. ამის წყალობით კი ორი ოპერაცია—წამლობა და კულტივაცია ერთდროულად შესრულდებოდა. კრებამ მხარი დაუჭირა კომუნისტის თაოსნობას. პირველი მაგალითი თანამოსაქმეებს თვით მ. უულიჯანოვმა მისცა, შემდეგ მას მხარი აუბეს სხვებმაც და შექმნილი მდგომარეობიდან მექანიზატორები პირნათელნი გამოვიდნენ. ეს მეთოდი სხვა მეურნეობებშიც დაინერგა, რაც მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა.

კომუნისტთა აქტიურობა, პასუხისმგებლობა ნათლად გამოსჩენია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობაში, რომელთა ინტერესების სფერო ვრცელია და ყველა საწარმოო ქვეგანაყოფს მოიცავს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საწარმოო გეგმების შესრულების, აღმზრდელობითს მუშაობაში მონაწილეობის, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში ყველა რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამ მიზნით რაიონის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში გაიმართა კრებები, რომელთა მონაწილეებმაც განიხილეს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის გაწეული მუშაობა და ამ მხრივ მომავლის ამოცანები. პრაქტიკაში დამკვიდრდა აგრეთვე პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებსა და პარტიულ კრებებზე სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა. ყოველივე ეს, ცხადია, ზრდის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების წინაშე.

როგორც ვთქვით, კომუნისტთა აქტიურობის ერთ-ერთ უტყუარ ნიშნად მიგვაჩნია მათ მიერ კრებებზე გამოთქმული საქმიანი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები. მაგრამ ეს გამოსვლები, რაგინდ საქმიანიც უნდა იყოს ისინი, მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება, თუ მათზე დროული რეაგირება არ მოვახდინეთ და დღენიადაგ არ ვიზრუნეთ მათი რეალიზაციისათვის. ამიტომ რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა: ყოველ პარტიულ კრებაზე, პარტიული კომიტეტების სხდომაზე ისმენენ ინფორმაციებს წინა პარტიულ კრებაზე ან კომიტეტის სხდომაზე კომუნისტთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ. ეს კი უზრუნველყოფს, რომ კომუნისტთა არც ერთი შენიშვნა არ დარჩეს უყურადღებოდ და ამასთანავე კომუნისტმა მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე დროული და კონკრეტული პასუხი მიიღოს.

ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამის გამო პარტიის რაიონულ კომიტეტში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა კომუნისტთა წინადადებებსა და შენიშვნებზე მუშაობის მწყობრი სისტემა. სახელდობრ, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრების ოქმი თავს იყრის პარტიის რაიკომის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მეთოდიკურ კაბინეტში, ოქმებს ოპერატიულად აანალიზებენ რაიკომის მუშაკები და ადგენენ კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმებს. ამის შემდეგ შეტყობინებები გაეგზავნებათ შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა კომპეტენციაში შედის საკითხის მოგვარება, და მათგან პრაქტიკული საქმით ვითხოვთ პასუხს.

აღნიშნული საკითხი მუდმივად დგას რაიკომის ბიუროს სხდომების დღის წესრიგში. შარშან და წლეულს რაიკომის ბიურომ ხუთჯერ მოისმინა ეს საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს: რაიკომის არც ერთი პლენუმი თუ პარტიული აქტივის კრება არ იმართება ისე, რომ არ განვიხილავდეთ ინფორმაციებს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ. უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიის რაიკომმა კონტროლი დაუწესა რაიკომის პლენუმზე გამოთქმულ 221 და პარტორგანიზაციების კრებებზე დაყენებულ 330 კრიტიკულ შენიშვნასა თუ საქმიან წინადადებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შენიშვნებისა და წინადადებების 90 პროცენტზე მეტი უკვე რეალიზებულია. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ წლეულს რაიკომის სპეციალური პლენუმი მივუძღვენით კომუნისტთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებზე რეაგირების საკითხებს.

ამგვარი მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, საქმესაც არგებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კომუნისტებსაც განუმტკიცებს რწმენას, რომ მათი ობიექტური კრიტიკა და საქმიანი წინადადება არა თუ უყურადღებოდ არ დარჩება, არამედ პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პარტიის რაიონული კომიტეტი ბოლომდე იბრძოლებენ კიდეც ნაკლის საბოლოო აღმოფხვრისათვის. სწორედ ამის გამოც არის, რომ სულ ახლახან რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო თუ რეგიონს კრებებზე საკითხების განხილვაში საშუალოდ კრებებზე დამსწრე კომუნისტთა 70 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

პარტიულ ორგანიზაციათა აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფორმად მიგვაჩნია ადგილებზე მუდმივი ხელმძღვანელობა და დახმარება. ამ მიზნით პარტიის რაიკომში იმართება ინსტრუქტაჟები და სემინარები. წესად იქცა, რომ პარტორგანიზაციებში სისტემატურად მიდიან პარტიის რაიონული კომიტეტის და მისი ბიუროს წევრები. ისინი ხვდებიან პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, პარტკომებისა და პარტბიუროების წევრებს, ესაუბრებიან, სიტყვითა და საქმით ეხმარებიან მათ. ამავე მიზანს ემსახურება პარტორგანიზაციებში პარტიული მუშაობის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმებები.

კიდევ შეიძლება საუბარი მუშაობის ფორმებზე, რომლებსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის ვიყენებთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რა გავლენა მოახდინა ყოველივე ამან რაიონში საქმის ფაქტობრივ მდგომარეობაზე. რა სასიკეთო ცვლილებები მოხდა ამის წყალობით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში? ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ წლევანდელ რამდენიმე ფაქტს: მნიშვნელოვანი გადაჯარებები შესრულდა მთლიანი სამრეწველო პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის დავალებები, თუალსაჩინო წარმატებებია მიღწეული მეცხოველეობაში. დამზადდა დიდძალი ზეგეგმითი ხორცი, რძე, კვერცხი. და, რაც ყველაზე მთავარია, რაიონის მეკვლეებმა წლევანდელ უაღრესად რთულ კლიმატურ პირობებთან ბრძოლაში რეალობად აქციეს სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა — საგეგმო 73.600 ტონის ნაცვლად სახელმწიფო მარანს 77 ათასი ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარეს...

ყოველივე ამაში ძალზე დიდია რაიონის კომუნისტთა წვლილი. იგი იმ საქმიანობის შედეგიც არის, პარტიის რაიკომი პირველადი პარტორგანიზაციების, თითოეული პარტიელის ბრძოლისუნარიანობის, აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლება-განვითარებისათვის რომ ეწევა, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გვაქვს. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „საჭიროა, რომ თითოეული კომუნისტი... თავის უბანზე მთელ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას იხმარდეს რეზერვების ძიებას, შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, გვიჩვენებდეს შრომითი თავდადების ღირსეულ მაგალითს“.

ეს სწორედ ამას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ეს კი ძალიან დაგვეხმარება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაში.

რ. ურჯუმელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

„პარტიული სიტყვა“ № 23

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი მიძღვნილია ლენინის დაბადების 75 წლის თავისადმი. სათაურით „დიდი ცხოვრების ფურცლები“ დაბეჭდილია სარედაქციო წერილი ამ თარიღთან დაკავშირებით. ჟურნალში გამოქვეყნებულია ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებანი (ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება, სამშობლოს გრძნობა). ჟურნალი კარგად არის ილუსტრირებული.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

მშვიდობის დაუშრომელი ხუროთმოძღვარი

მთელი დედამიწის ზურგიდან მოდის გამოხმაურებანი საიუბილეო ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავს. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აქვეყნებენ სტატიებს, რომლებსაც ეძღვნება ლენინის უკვდავი საქმის ერთგული განმგრძობის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აშუქებენ სიტყვებს, რომლებიც ამ ხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ლენინის ორდენისა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის მიღებისას და კრემლში გამართულ დარბაზობაზე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 75 წლის თავის დღესასწაულობამ, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჩაიარა მთელი მსოფლიოს მშვიდობის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მისი ისტორიული ღვაწლის დაფასების ნიშნით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ულრმესი, წრფელი სიმპათიის გრძნობით ეკიდებიან ლ. ი. ბრეჟნევს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, მშვიდობისა და კომუნიზმის თანამიმდევარ, მტკიცე მებრძოლს. ხალხები პატივს სცემენ ლ. ი. ბრეჟნევს როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაუოკებელ ხუროთმოძღვარს.

უეჰველია, წერს იუგოსლავიის „ბორბა“, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ახალი სტილი შემატა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. თავის პარტიულ თუ სახელმწიფო მოღვაწეობაში იგი მუდამ მომავლისაკენ მიისწრაფვის. ლ. ი. ბრეჟნევის, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის საქმიანობამ ღრმა კვალი დაამჩნია კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი რევოლუციურ გარდაქმნებსა და სსრკ კავშირში სოციალიზმის მშენებლობაში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში.

ინგლისის რეიტერის სააგენტო წერს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ კრემლში გამართულ დარბაზობაზე წარმოთქმული სიტყვა დასავლეთმა უნდა აღიქვას როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მუდმივობის დასტური. სააგენტოს მოჰყავს საბჭოთა ხელმძღვანელის გამონათქვამი და აღინშნავს: მშვიდობის საქმისადმი ლ. ი. ბრეჟნევის ერთგულება სწორედ იმით აიხსნება, რომ იგი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის აზრებსა და გრძნობებს, და, რაღა თქმა უნდა, მთელი საბჭოთა სახელმწიფოს მისწრაფებებს, გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე, გაუხუნარელ კურსს საგარეო პოლიტიკაში.

„ლეონიდ ბრეჟნევი აცხადებს, რომ საბჭოთა ხალხი მშვიდობის ერთგულია“ — წერს სათაურში ფრანგული **„ლუმანიტე“**, რომელიც აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წელთან დაკავშირებით ზეიმზე მისი გამოსვლის შინაარსს.

მშვიდობისა და სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის საქმის ერთგულებას განსაზღვრავს თვით საბჭოთა საზოგადოების ხასიათი — მოჰყავს დასავლეთ გერმანიის გაზეთ **„ფრანკფურტერ ალგემაინეს“** ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები.

პარტიული ხელმძღვანელისა და სახელმწიფო მოღვაწის პოსტზე ლეონიდ ბრეჟნევის ღვაწლმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, აღნიშნავს ფინური გაზეთი **„უუსი სუომი“.** საბჭოთა ხელმძღვანელმა გაცილებით მეტი იღონა მშვიდობის დასამკვიდრებლად, ვიდრე რომელიმე ახლანდელმა სახელმწიფო მოღვაწემ.

მსოფლიოს ხალხები, წერს ნიკარაგუის გაზეთი **„ნუევო დიარიო“,** დიდად აფასებენ ლეონიდ ბრეჟნევის დაუღალავ ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ლ. ი. ბრეჟნევმა მთელი თავისი მდიდარი მოვლენებით აღსავსე ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს სამსახურს და გაზეთი გამოჩენილი პარტიული ხელმძღვანელი, უთვალსაჩინოესი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე.

ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, — წერს მოზამბიკის ყოველკვირეული **„დომინგუ“,** საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, და ეს წარმატებანი შთაგონებენ მთელი მსოფლიოს ხალხებს ახალი გამარჯვებისათვის.

ფოტოინფორმაცია

ავღანეთში

ყოველი ქვეყანა დედაქალაქით იწყება. ამ მხრივ არც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკაა გამონაკლისი. მის დედაქალაქ ქაბულში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა მთელი რესპუბლიკის ცხოვრების მაჯისცემა. მუშაობენ სანარმოები და მაღაზიები, ქუჩები სავსეა ავტომანქანებით.

ავღანელი ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გულშახ საბირი (სურათზე ზემოთ) ქალაქ ფაიზაბადის ერთ-ერთ სკოლის მასწავლებელია. იგი ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრის კანდიდატი და ბადახშანის პროვინციის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა.

საკადრისი ფოტო.



მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. ქვეყანაში ვითარების შემდგომი სტაბილიზაცია, კონტრრევოლუციონერთა ცალკეული ხროკეების მიუხედავად, რომლებიც ახალგაზრდობას აქეზებენ მთელ რიგ ადგილებში უწესრიგობისათვის — ასეთია სადღესასწაულო პოლონეთის საერთო სიტუაცია. პარტიის ბევრ რაიონულ და სავოივოდო კომიტეტში ინიციატივიანად ქმნიან მუშათა თავდაცვის რაზმებს, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან საზოგადოებრივი წესრიგის ძალოვან საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალიზაციაში. თავის წევრებსა და პატრიოტულ ახალგაზრდობას მოუწოდა ქვეყნის თავდაცვის ლიგის პრეზიდიუმმა, რომელიც 2,5 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. სოციალისტური სამშობლოს ხსნისათვის, მტრული ძალების ყოველი აქციის წინააღმდეგ ხელი უნდა შეეწყოთ სამხედრო საბჭოს დადგენილებათა სრულ განხორციელებას, ნათქვამია ამ დოკუმენტში.

ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა გლეხებისადმი, სახელმწიფო მეურნეობების მუშაკებისადმი, კოოპერატივების წევრებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის პროდუქტების გაყიდვა დროის მოთხოვნა და თითოეული ფული მიზანმიმართულად, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გულშახ საბირი (სურათზე ზემოთ) ქალაქ ფაიზაბადის ერთ-ერთ სკოლის მასწავლებელია. იგი ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრის კანდიდატი და ბადახშანის პროვინციის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ნაცხადა, ამ დარგის თითქმის ყველა ქვანახშირის შახტი და ქარხანა ნორმალურად მუშაობს. ქვანახშირის სადღესასწაულო მოპოვებამ პოლონეთში პრაქტიკულად საგეგმო მოცულობას მიაღწია.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ინფორმაციის ორგანოები იუწყებიან, რომ კომენდანტის საათი შემცირდა 43 სავოივოდოში (იგი დაწესებულია 23 საათიდან დილის 5 საათამდე). ეს წესები არ ვრცელდება ელბლონგის, კატოვიცეს, ლუბლინის, ზჩეცინისა და ვროცლავის სავოივოდოებზე, სადაც „სოლიდარობის“ ძირგამომთხრელი ელემენტები, კორელები და „კონფედერატები“ კვლავ ეწინააღმდეგებიან სამხედრო წესების განკარგულებათა თანამიმდევრულ განხორციელებას. „კატოვიცეს“ მეტალურგიულ კომბინატში ბარიკადებს ამოფარებული „სოლიდარობის“ წევრები აშკარა შანტაჟს მიმართავენ, იმუქრებიან, ანგბადისა და აცეტილენის მარაგის საშუალებით ცენტრალურ ღუმელებს ავაფეთქებთო. კონტრრევოლუციონერებმა, რომლებიც ერთმანეთს გულს უმაგრებენ, წამოაყენეს წამქეზებლური მოწოდება — „სახედრო წესები მხოლოდ სუსტებს აშინებსო“.

პოლონეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ ამხილა კონტრრევოლუციური ძირგამომთხრელი ორგანოს „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ მეთაური ლ. მოჩუულკი. აღნიშნულია, რომ მას პირადპირი კონტაქტები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან, აგრეთვე დასავლეთის ძირგამომთხრელ ცენტრებთან და რევიზიონისტულ წრეებთან. მოჰყავთ მოჩუულკის სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა მოისპონ კომუნისტები პოლონეთში. ტელევიზია აღნიშნავს, რომ პოლონეთის დამოუკიდებელ კონფედერაციას აქვს იარაღის საწყობები, რომელიც უნდა გამოეყენებინათ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრთა ფიზიკური მოსპობისათვის. არსებული მონაცემებით, პოლონეთიდ „დამოუკიდებელი კონფედერაციის მთავარი ცენტრი სილეზიაშია.

სულ უფრო ხშირად პოლონეთის პრესის ფურცლებზე მწარე სინანულს გამოთქვამენ „სოლიდარობის“ ყოფილი აქტივისტები, რომლებიც მიხვდნენ, რომ ისინი იყვნენ შემსრულებლები კონტრრევოლუციონერთა ხელში. ჟ. ბოგაჩევიჩმა, „სოლიდარობის“ პრეზიდიუმის წევრმა ეუშუეში, კერძოდ, განაცხადა: „რეგიონალური მართვის ენერგია ხმაურდებოდა პოლიტიკურ საქმეებს, გამასულელებელ პროპაგანდას. ხშირად მუშებს არც კი სურდათ მათი წაკითხვა. მათ კრიზისი და ანარქია აწუხებდათ; მე თავს ვიმტვრევდი: რა საჭიროა ეს ლაყბობა ახალი მთავრობის, კონფლიქტაციის შესახებ-მეთქი. და ვიპოვე პასუხი, როცა ერთ-ერთი წერილიდან შევიტყვე, რომ ჩვენი გამგეობის თავმჯდომარის ა. კოპაჩევსკის მამა ომის შემდეგ ტერორისტთა და მძარცველთა ბანდის მეთაური ყოფილა, ხოცავდა ადამიანებს. კოპაჩევსკის შურისგება ამოძრავებს, და იგი იმის მიღწევას ლამობს, რაც მამამისმა ვერ შეძლო. ეიცი, რომ უბრალო ადამიანები სოციალიზმის მოძხრენი არიან, რომ მათ არ სურთ წყობილების შეცვლა, “ სძულთ კონტრრევოლუციონერები და სპეკულანტები. მე ასე მესმის: მხოლოდ შრომა და საზოგადოებრივი დისციპლინა მოგვტანს ხსნას და აგვიხდენს იმედებს“.

საპატიო ჯილდო

პანოი. ვიეტნამის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულება იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია პირველი ხარისხის ხო ში მინის ორდენით.

ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნიან ზანი“ მოწინავე სტატიაში წერს: საბჭოთა ხელმძღვანელისათვის ვიეტნამის ჯილდოების მინიჭება მოწმობს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევენ ვიეტნამის კომპარტია, ვიეტნამის სახელმწიფო და ხალხი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, ვიეტნამელ კომუნისტთა და ხალხის დიდი და გულწრფელი მეგობრის წვლილს ორი მოძმე პარტიისა და მოძმე ხალხის დიადი მეგობრობის, საბრძოლო სოლიდარობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში.

ვიენტიანი. ლაოსის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა კეისონ ფომვიხანმა ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავის გამო გამართულ დარბაზობაზე წარმოთქმული სიტყვა ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულება მისთვის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის, რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს მინიჭების შესახებ.

თავის გამოსვლაში კეისონ ფომვიხანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევი ლაოსსა და მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალისტური პროგრესისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

დიდი ლენინის საქმის უსაზღვროდ ერთგული, განაცხადა კეისონ ფომვიხანმა, იგი მუდამ იცავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს, არ იშურებს ძალ-ღონეს თავისი სამშობლოს, სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

ეროვნული

● **ბუდაპეშტი**

უნგრეთის კოსმოსური ენციკლოპედია ახახავს უკანასკნელ მიღწევებს კოსმოსური სივრცის შესწავლის, კოსმოსური მედიცინის, კოსმოსში ადამიანის ფრენის ისტორიის დარგში. გამოცემაში შეტანილია დოკუმენტები, ათასზე მეტი ნახატი და ნახაზი, აგრეთვე მთელი რიგი უნიკალური ფოტოსურათები, რომლებიც დედამიწისირგვლივ ორბიტიდანაა გადაღებული. მალე ენციკლოპედიის პირველი ეგზემპლარები გამოვა უნგრეთის მაღაზიებში.

● **პარიზი**

1980 წელს საფრანგეთში აღირიცხა 970 ათასამდე უბედური შემთხვევა წარმოებაში, რომელთა შედეგად 1428 კაცი დაიღუპა და 101.000 მძიმედ დაშავდა. ეს მონაცემები აქ გამოაქვეყნა შრომის სამინისტრომ.

● **ნიუ-იორკი**

1982 საფინანსო წელს სამხედრო მიზნით მშვიდობიანი დროისათვის რეკორდული ასიგნებანი, რომლებიც ამას წინან მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, წერს გაზეთი „ფილადელფია ინკუაირერი“, ამერიკის შეერთებული შტატების 18 წლისაზე უნნეს თითოეულ მცხოვრებს 1250 დოლარი დაუჯდება.

ქვეყნის თითოეული სახეობის შეიარაღებულ ძალებმა ახალ საფინანსო წელს გაცილებით მეტი სახსრება მიიღო.

ახლანდელი ადმინისტრაციის ფართო სამხედრო ხუთწლიანი პროგრამა ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს სულ 1,5 ტრილიონი დოლარი დაუჯდებათ.

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საერთაშორისო
დედამიწის ზურგზე
ცხოვრება

22 დეკემბერი

პროექტი, ექსპერიმენტ

ახალი „დისნეილენდი“

ამერიკელი კინორეჟისორი და პროდიუსერის უოლტ დისნეის მიერ დაარსებულმა „გასართობთა იმპერიამ“ მრავალი წლის განმავლობაში არ იცოდა, [illegible] იყო კრიზისი და დაქვეითება. სამოც წელზე მეტი ხნის წინ [illegible] მან ბაურებელს გააცნო გაჯერები და დაუღალავი მეკი-მაუსი [illegible] მილიონობით ბავშვმა და [illegible]

ზარმა შეიყვარა მისი [illegible] რათების გმირები: ფიფქია [illegible] შვიდი ჯუჯა, პინოქიო, ალ[illegible] ბემბი... იმპერიას ეკუთვნის [illegible] პარკი — „დისნეილენდი“ „დისნეიუორლდი“.

მაგრამ ბოლო წლებში ეკონ[illegible] მიკური კრიზისი, რომელ[illegible] კაპიტალისტური სამყაროს [illegible] დიდრესი ქვეყანა განიცდის, [illegible] ნეის სამფლობელოსაც შეე[illegible] საგრძნობლად შემცირდა პა[illegible] ბის დამთვალიერებელთა რიცხ[illegible] მარცხი განიცადა კომპანიამ [illegible] ნოს სფეროშიც. ბოლო ფილ[illegible] ბი, არსებული ტრადიციის [illegible] ნაადმდეგოდ, უფროსი და ხა[illegible] ლო თაობის მაყურებელთა[illegible] იყო განკუთვნილი. მათ წარმ[illegible] ბა ვერ ხვდათ წილად და ზარ[illegible] მა რამდენიმე ათეული მილი[illegible] დოლარი შეადგინა.

მეწარმეები დიდ იმედებს ა[illegible] რებენ იაპონური „დისნეი[illegible] დის“ პროექტზე. იგი გაიხსნ[illegible] ტოკიოს მახლობლად 1983 წ[illegible] ვარაუდობენ, რომ მას წელიწ[illegible] ში 10 მილიონი მნახველი ეწ[illegible] ვა. მის შექმნაში ამერიკული [illegible] პანიის გარდა 15 იაპონური [illegible] რმა მონაწილეობს.

პიგმეების საიდუმლოება

მას შემდეგ, რაც აფრ[illegible] ტროპიკულ ჯუნგლში მიგზავ[illegible] ტომები აღმოაჩინეს, მეცნ[illegible] ები ცდილობენ ახსნან, რა[illegible] ვერ სცილდება ამ ადამიანთა [illegible] მაღლე 122-142 სანტიმეტ[illegible] პრობლემით დაინტერესდა [illegible]

რიკელი პროფესორი თომას [illegible] . რიმეც. მრავალრიცხოვანი [illegible] პერიმენტების შემდეგ მან გ[illegible] თქვა ვარაუდი, რომ ამის პრ[illegible] უნდა იყოს ჰორმონალური [illegible]

ბალანსი: პიგმეების ორგან[illegible] საკმარისი რაოდენობით ვერ [illegible] მოიმუშავებს ეგრეთ წოდებ[illegible] ზრდის ინსულინურ ფაქტორ[illegible]

აფრიკის ამ მცხოვრებთა [illegible] ხსლში მისი რაოდენობა ჩვ[illegible] ლებრივზე სამჯერ ნაკლებია.

ჩქარმოსნული ექსპრესი

საფრანგეთი. ახალმა ჩქ[illegible] სნულმა ექსპრესმა (სურა[illegible] დაიწყო მ

მასების კონტროლით

ნაღლის ფენიზელი თვალი

გვერდი № 174

ვაგონები ცდება, ტვირთი ზიანდება

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რესპუბლიკის სანარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი რკინიგზის ლიანდაგების მოცლა-პატრონობის მდგომარეობა, აღმოაჩინა სერიოზული ნაკლოვანებანი. ამ საკითხზე კომიტეტმა შესაბამისი დადგენილება მიიღო.

ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც შემოწმებით გამოვლინდა, შრომის არასწორი ორგანიზაციისა და სახელმწიფო დისციპლინის დაბალი დონის შედეგია. მისასვლელ ლიანდაგებზე გახშირდა მოძრავი შემადგენლობის მოცდენის შემთხვევები, რაც დამატებითს სიძნელეებს ქმნის, აუარესებს ვაგონების ბრუნვას, აფუჭებს შემადგენლობას, აზიანებს ტვირთს.

შემოწმებული მისასვლელი რკინიგზებიდან 109 ტექნიკურად გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლმშენის, კვების მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროების, ცეკავშირის, საქართველოს ნავთობმომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტის, გაერთიანებების — საქსოფლქიმიის, სამტრესტის და სხვათა მისასვლელი რკინიგზები.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს შემოწმებული 15 მისასვლელი რკინიგზიდან არადაკმაყოფილებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა 10, საშენ მასალათა სამინისტროში — 9-დან 8, სოფლმშენში — 11-დან 10, კვების მრეწველობის სამინისტროში — 6-დან 5, ვაჭრობის სამინისტროში — 8-დან 7, ცეკავშირში — 17-დან 13, საქართველოს ნავთობმომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტში — 7-დან 6, საქსოფლქიმიის გაერთიანებაში — 10-დან 7, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში — 8-დან 4.

რემონტის ფინანსირების გეგმის დამტკიცებისას არც ერთ სამინისტროსა და უწყებას არ გაუთვალისწინებია მისასვლელი რკინიგზების, კაპიტალური რემონტი. ეს სამუშაოები მიმდინარეობდა ქვესაუწყებო ორგანიზაციის ხელმძღვანელების შეხედულებისამებრ.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს დაეკვალა საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი რესპუბლიკის ყველა მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგების კაპიტალური რემონტი, მაგრამ ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ უარი თქვა მათს მომსახურებაზე იმ საბაბით, რომ არა აქვთ ხელფასის ფონდი და მატერიალური რესურსები, აგრეთვე იმიტომ, რომ რემონტს აკეთებენ თავიანთი ძალებით ან საკუთარი სამინისტროების სარემონტო ორგანიზაციების მეშვეობით.

ამრიგად, ზემოაღნიშნული დადგენილების საწინააღმდეგოდ, მისასვლელი რკინიგზების ლიანდაგების კაპიტალურ რემონტს ხელი მიაყვეს სამშენებლო ორგანიზაციებმა, ზოგჯერ ისეთებმაც კი, რომლებსაც ამასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხელს უწყობს დისციპლინის დარღვევებს, ხარჯთაღრიცხვებში წამატებებსა და ბოროტმოქმედებებს. მაგალითად, შემოწმების დროს საქართველოს სსრ სახმომარაგების „საქლითონმომარაგება-გასაღების“ სამმართველოში აღმოჩნდა 1 კილომეტრი მისასვლელი რკინიგზისა და 10 საისრო გადამყვანის კაპიტალური რემონტის გამო შედგენილი სადეფექტო აქტი, რომელიც ხელმოწერილი და გამზადებული იყო დასამტკიცებლად. გამორკვა, რომ შემდგენლებმა არ იცოდნენ, რომელი უბანი და რომელი საისრო გადამყვანი იყო სარემონტო. უფრო მეტიც, მისასვლელი რკინიგზისა და საისრო გადამყვანის ტექნიკური მდგომარეობა რემონტს არ საჭიროებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა შემოწმებულ სამინისტროსა და უწყებაში ფონდირებული მასალა გამოყოფილია მხოლოდ მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგების შესანახად, კაპიტალური რემონტის გაუთვალისწინებლად, რის შედეგად მასალათა მომეტებულ ნაწილს ლიანდაგების კაპიტალური რემონტისათვის იყენებენ. ლიანდაგების შეკეთებაში არსებული უწესივრობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ორგანიზაციებში არ არის შექმნილი სპეციალური ბრიგადები, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბრიგადები არის, ისინი ფაქტობრივად დაკავებული არიან მძიმრავი შედგენილობის აცდენის სალაკვიდაციო და ავარიით გამოწვეული უწესივრობის გამოასწორებელი სამუშაოებით.

1974 წლიდან 1980 წლის ჩათვლით, დადგენილი წესით, აღნიშნულ ორგანიზაციებს ამიერკავკასიის რკინიგზის ბალანსზე გადაცემული აქვთ მხოლოდ 10,8 კილომეტრი მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგი. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ გზების მფლობელებს და რკინიგზა-წარმომადგენლებს არ [illegible] სებთ მშენებელთა მიერ დამთავრებული ობიექტების ამიერკავკასიის რკინიგზის ბალანსზე გადაცემა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა შემოწმების შედეგები და საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლმშენის, ვაჭრობის მინისტრთა მოადგილეების — გ. მეფარიშვილის, ა. გლურჯიძისა და გ. ხელაძის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის გ. შოთნიაშვილის, საქსოფლქიმიის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის გ. ჭორაქაშვილისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილის გ. ქართველიშვილის ყურადღება გაამახვილა არსებულ დარღვევებზე და დაავალა მათ განიხილონ აღნიშნული შემოწმების მასალები, დასახონ ღონისძიებანი საკუთარი მისასვლელი რკინიგზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო რკინიგზის მოუვლელობისა და დაბალხარისხიანი რემონტისათვის დასჯონ უშუალო დამნაშავენი.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ · ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ

უპასუხისმგებლობა თუ დაუდევრობა?

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ

ᲒᲝᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ რესპუბლიკაში შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს რკინიგზის ტრანსპორტის გამართული მუშაობისათვის, ვაგონების მოცდენის აღსაკვეთად. ამ მხრივ გარკვეული წინსვლა იგრძნობოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში (უფროსი — რ. ვაშაკიძე). როგორც სარეიდო შემოწმებამ ცხადყო, რკინიგზელები ყველაფერს ღონეზენ ტვირთბრუნვის დასაჩქარებლად, ვაგონების დროული დატვირთვა-განტვირთვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ მრავალი საყურადღებო ფაქტი დაგვისახელა იმის თაობაზე, თუ როგორ იღვწიან სატრანსპორტო კომისიები ვაგონების მოცდენამ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და რა ყურადღება ეთმობა პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

ტვირთბრუნვის დასაჩქარებლად ახალი ჩიხი დაიგო ჩაქვის, ქობულეთის, ნატანების, ოჩხამურის, ურეკის, ჯუმათის და რკინიგზის სხვა სადგურებში. მიუხედავად ამისა, აქა-იქ მაინც ვხვდებით ფაქტებს, როცა დატვირთული ვაგონები მთელი დღეები დგას ერთსა და იმავე ადგილზე.

სამტრედიის რაიონში განლაგებულმა 97-მა საწარმომ და დაწესებულებამ მოაცილინეს 5.365 ვაგონი. ზენორმატიულმა მოცდენამ 20.170 ვაგონსაათი შეადგინა, ჯარიმამ — 37.100 მანეთი.

რეიდის მონაწილენი ვიყავით „ძველი სამტრედიის“ ტერიტორიაზე არსებულ სატვირთო ეზოში, ვნახეთ, თუ როგორ იყო იქ ლიანდაგი გაჭედილი ზოგან დატვირთული, ზოგან ცარიელი ვაგონებით, მისასვლელი გზები ჩახერგილია სხვადასხვა ტვირთით, საშენი მასალით, დანადგარ-მოწყობილობით, რომლებიც თვეობით და წლობითაც კი ყრია ღია ცის ქვეშ, გამკეთებავი კი არავინ არის. შემოწმებისას, სატვირთო ეზოში 1.348 ტონაზე მეტი ტვირთი იყარა, რომელიც ჩამოცლილი იყო ერთი თვის წინ. სამტრედიის კავშირგაბმულობის 40 ტონა ხის ბოძები, რომლებიც 16 აგვისტოს ჩამოცალეს, რეიდის დროსაც ეზოში ეყარა. ხოლო გეგეჭკორის რაიონის პურკომბინატის ფქვილის შესანახი ვეებერთელა დანადგარები შარშან 14 აგვისტოს გადმოყარეს ვაგონებიდან და, წარმოიდგინეთ, შემოწმების დროსაც იქვე ვნახეთ.

სატვირთო ეზოში ვნახეთ აგრეთვე სამტრედიის ბინათმშენებლობის სამმართველოს 120 ტონა ქვანახშირი, რომელიც სამ სეკტემბერს ჩამოუცლიათ, ზოგა-ზოგად ეყარა მიწაზე და აფერხებდა ახალი ვაგონების მიღება-დაცლას.

9 აგვისტოს სამტრედიის სადგურში დაცალეს 9 ვაგონი ძაფი და მატყლი, წონით 175 ტონა, რომელიც ცხაკაიას რაიონის ბალიჩის კომბინატს ეკუთვნის. ეს ტვირთიც არ გაეტანათ ცხაკაიელ მეხალიჩეებს, რისთვისაც ჯარიმის სახით დაერიცხათ 3.652 მანეთი. ამის შესახებ სპეციალური შეტყობინებაც კი გაეგზავნათ კომბინატის ხელმძღვანელებს (დირექტორი — ანზორ ბაღათურია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — დავით ერქვანია), მაგრამ ადგილზე არაფერი უღონიათ. ეს ფაქტი ცნობილი იყო ცხაკაიას სახალხო კონტროლის კომიტეტისთვისაც, მაგრამ, ჩანს, აქაც წყარუება არჩიეს.

სამტრედიის ღვინის ქარხანამ (დირექტორი — ზ. ძნელაძე) გადამუშავებელი 181 ვაგონიდან 76 დიდი მოცდენით გადმოტვირთა, რისთვისაც 1.959 მანეთით დაჯარიმდა. ანალოგიური მდგომარეობა სამტრედიის ლუდისა და ლიმონათის ბაზაში.

ქ. ბათუმის მთელ რიგ ორგანიზაციებში ნაკლებად იგრძნობა ვაგონების მოცდენის ლიკვიდაციისათვის ზრუნვა. მაგალითად, ნავთობგადამუშავებელმა ქარხანამ (დირექტორი — ე. გვენცაძე) 9 თვეში ზენორმატიული მოცდენებისათვის ჯარიმის სახით გადაიხადა 159.459 მანეთი?!

ეს გამონაკლისი როდია, ბათუმის ჩაის გადამწონი ქარხნის მეხეურნეები ვაგონების მოცდენისათვის 28.187 მანეთით დაჯარიმდნენ. ვაგონების დაცლა-დატვირთვაში დაშვებული უპასუხისმგებლობისათვის დაჯარიმდნენ აგრეთვე ბათუმის ხილბოსტანეაჭრობის, აერომომარაგების, ხელვაჩაურის საშენ მასალათა კომბინატისა და სხვა წარმოება-დაწესებულებები.

როგორც ჩანს, აქ ჯარიმების გადახდა უადილდებათ, რადგან საკუთარი ჯიბიდან არაფერს კარგავენ.

ამ ბოლო დროს ვაგონების დაცლა-დატვირთვაში არსებული ნაკლოვანებანი ერთგვარად გამოსწორდა მახარაძის რაიონში. პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ რკინიგზის სატრანსპორტო საქმიანობაში წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ მაინც ვხვდებით უყაირათო მუშაობის ცალკეულ შემთხვევებს. 9 ნოემბერს მახარაძის რკინიგზის სატვირთო ეზოში ვნახეთ 3 ნოემბერს ჩამომდგარი ქვანახშირით დატვირთული (120 ტონა) ორი ვაგონი, რომლებსაც ერთი კვირის მანძილზე არავინ მიკარებია. როგორც რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ვაგონები მოსულია ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის საბელზე, მაგრამ მის გადმოტვირთვას აჭიანურებენო.

ვაგონების მოცდენისათვის, მათი დროული განტვირთვისათვის თავს არ იწუხებენ ისეთ მსხვილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, როგორიცაა რაიკოოპკავშირი (თავმჯდომარე — ტ. ქადიშვილი), ჩაის ნატურალური კონსენტრატების კომბინატი (დირექტორი — მ. ჭამეიშვილი), რკინა-ბეტონის ქარხანა (დირექტორი — რ. თავართქილაძე).

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნებით, უდისციპლინობით უნდა ავხსნათ, რომ ვანის რაიონის 13 ორგანიზაციამ 3.138 ვაგონსაათი მოაცდინა, რისთვისაც დაჯარიმდნენ 8.325 მანეთით. ამ საქმეში სერიოზული ჩავარდნები აქვთ დამზადების გაერთიანებას (დირექტორი — გ. ადეიშვილი), საკონსერვო ქარხანას (დირექტორი — გ. ნიფეტაურიძე), ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას (დირექტორი — მ. ლორთქიფანიძე), ადგილობრივ მრეწველობას (დირექტორი — მ. მელაკელიძე), რაიკოოპერატივ ვს (გამგეობის თავმჯდომარე — ა. ტაბიძე) და სხვა ორგანიზაციებს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშაკებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ახალი სარკინიგზო ჩიხების მოსაწყობად, შეიმუშაონ ვაგონების მოცდენის ლიკვიდაციის პროგრამა და კონკრეტული ღონისძიებანი, კარგად შეისწავლონ ტვირთბიდვის ზრდის საკითხი და ამის შესაბამისად იმოქმედონ ახალ-ახალი რეზერვების ასამოქმედებლად, რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერებელი მუშაობისათვის.

რეიდის მონაწილენი: დ. ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ — სამტრედიის რაიონის პროკურორი, Მ. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ — მახარაძის რაიონის პროკურორი, ბ. ᲤᲘᲪᲮᲔᲕᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — სამტრედიის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, Ე. ᲙᲔᲠᲫᲘᲫᲔᲕᲐᲫᲔ — ვანის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, Ვ. ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ — მახარაძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲕᲧᲝᲗ ᲛᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲐᲮᲚᲐ, როცა განუხრელად იზრდება სახალხო მეურნეობის მოცულობა და მომთხოვნელობა ხარისხის ამაღლებისადმი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შესრულების შემოწმების სრულყოფა. ამის მკაფიო მაგალითია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად კონტროლისა და შესრულების შემოწმების სრულყოფის შესახებ“.

სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე სახალხო კონტროლიორები უნდა იდგნენ.

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ დახმარებას უწევენ სახალხო კონტროლის კომიტეტს, ჯგუფებსა და საგუშაგოებს, განიხილავენ მათი საქმიანობის შედეგებს. უკანასკნელი ნაყოფიერი გამოდგა რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის მდგომარეობის დათვალიერება, რომელშიც 65 საწარმო და ორგანიზაცია მოიცვა. ერთთვიურის პერიოდში დაიზოგა 7.912 მანეთის 562 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი სათანადო შეფასებას აძლევს შემოწმების შედეგად გამოვლენილ დისციპლინის დარღვევის თითოეულ ფაქტს. წელიწადს კომიტეტმა სასჯელი დაიდო 85 თანამდებობის პირს, მათ შორის 3 გადაყვენებულია თანამდებობიდან, რამდენიმე კაცს სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 2.800 მანეთი დაერიცხა, 48 თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილეს შრომითმა კოლექტივებმა.

ეს მაგალითები ცხადყოფენ რომ ცხაკაიას სახალხო კონტროლის კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა საკონტროლო საქმიანობის გასაძლიერებლად, კონტროლის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. მაგრამ ისიც ცხადია, რომ დავალებათა შესრულება მარტო კომიტეტის ძალებით შეუძლებელია. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის მასობრივობას, სახალხო კონტროლის ფართო ბაზისს. ეს ბაზისი, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს, ნოსირისა და გეჯეთის საბჭოთა მეურნეობების, უშაფათის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და ბევრი სხვა ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფები.

მართალია, ცხაკაიას სახალხო კონტროლის კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა მუშაობის ფორმების დახვეწა-გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მის საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ხარვეზები. შემოწმების ერთი ნაწილი ვერ ავლენს არსებულ ნაკლოვანებათა წარმომშობ მიზეზებს, სუსტია პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები, ჯგუფების ნაწილი არ იჩენს სათანადო აქტიურობას, ზოგიერთი მათგანი თავს არიდებს დარღვევებს.

რაიონის სახალხო მეურნეობის 229 წარმოება-დაწესებულებიდან წლის პირველი ნახევრის დავალება ვერ შეასრულა 75-მა, მათ შორის № 5 ტრესტის საწარმოო კომბინატმა, სამშენებლო-სარემონტო უბანმა, № 48 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ, მექანიზაციის უბანმა და მთელმა რიგმა სავაჭრო ორგანიზაციებმა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამას წინათ ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში მოაწყო შემოწმება. გამოვლინდა უხეში დარღვევები. კერძოდ — წამატებები, მზა პროდუქციის რეალიზაციის მონაცემების გადამალვა, სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის პროდუქციის უფიფდო გაცემა, დიდი რაოდენობის არამწარმოებლური ხარჯები და სხვა. კომბინატში არასაპატიო მიზეზით წლის პირველ ნახევარში გაკდა 9360 კაცსაათი, ხოლო არამწარმოებლურმა ხარჯებმა 145 ათასი მანეთი შეადგინა. სამწუხაროდ, ყოველივე ეს კომიტეტის მხედველობის მიღმა დარჩა.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტისა და ჯგუფების მიერ 1980-1981 წლებში მოწყობილმა შემოწმებებმა ვერ გამოავლინა გაფლანგვა-დატაცების ვერც ერთი შემთხვევა, ეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამხილეს 320 ათასი მანეთის საერთო თანხის სოციალისტური საკუთრების დატაცების რამდენიმე ფაქტი.

ჯერ კიდევ ყველ-კარაქის ქარხნის, სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ხილბოსტანეაჭრობის, რაიკოოპერატივის, ქალაქვაჭრობის და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფები იშვიათად აწყობენ შემოწმებებს, არ აკლენენ სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა ცხაკაიას სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და სათანადო შეფასება მისცა მას.

Თ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

სრულყოთ შესრულების შემოწმება

წელიწად-ნახევრის განმავლობაში პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროზე რამდენჯერმე იმსჯელეს სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაზე. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ანგარიში მოისმინეს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიაზეც.

ეყრდნობიან რა პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერას, ცხაკაიას სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი, ჯგუფები და საგუშაგოები სისტემატურად სწავლობენ საწარმოს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობას.

რაიონის საერთო წარმატებებში თავიანთი მოკრძალებული წვლილი რაიონის სახალხო კონტროლიორებმაც შეიტანეს.

იმისათვის, რომ გაიზარდოს კონტროლის ქმედითობა, კონტროლის კომიტეტი სახავს ერთობლივ ღონისძიებებს, ზრდის შემოწმების შედეგიანობას. სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუდმივმოქმედ კომისიებთან ერთად ამ ბოლო წელიწად-ნახევარში მოიწყო 11 შემოწმება, ხოლო „კომკავშირული პროექტორის“ შტაბებთან ერთად — 8 ღონისძიება.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, სოფლის მეურნეობის სამმართველოსა და გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციის ერთობლივი რეიდით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახული ღონისძიებების შედეგად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული სხვადასხვა მარკის ტრაქტორებიდან, მისაბმელებიდან, სატვირთო ავტომანქანებიდან და კომბაინებიდან სამუშაოდ გაამზადეს მათი 95 პროცენტი.

„სოხუმბელსაწყობში“, ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში და ქუთაისის რეზინტექნიკური ნაწარმის საწარმოში წარმატებით ახორციელებენ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თანამიდევრობით დანერგვის კომპლექსურ ღონისძიებებს. მაგალითად, ქარხანა „სოხუმბელსაწყობში“ შემოღებულია უმოღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა, შრომის ანაზღაურების ბრიგადული ფორმა და სხვა. ეს საწარმო გადაქცეულია რეგიონის მეთოდიკურ-საკონსულტაციო ცენტრად. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომში“ ფართოდ გამოიყენება შრომის სტიმულირების ეკონომიკური ბერკეტები, შემოღებულია ბრიგადების, ცვლებისა და საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველთვიური და ყოველკვარტალური შეჯამება, ეწყობა შიდაპარხნო კონკურსები და ერთთვიურები საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის კომპლექსში ავორბაციის მიზნით გადაყვანილია საწარმოო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“, „სამტრესტის“ და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ყველა საწარმო, საქართველოს სსრ ხალხმასტნეულის მეურნეობის სამინისტროს საწარმოების 90 პროცენტი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და საავტომობილო გზების სამინისტროების საწარმოების 50 პროცენტი.

მაგრამ, როგორც საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ეროვნულ-ეკონომიკურ საბჭოზე ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის კომპლექსზე გადაყვანილია 209 საბაზო საწარმო და გაერთიანება ანუ მთელი საწარმოთა 23 პროცენტი. პროდუქციის ხვედრითმა წილმა რესპუბლიკაში გამოშვებული მთელი პროდუქციის 45,2 პროცენტი შეადგინა.

იმ რეგიონებში, სადაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავენ მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდის დანერგვისათვის, საქმე კარგად მიდის. ამ მხრივ გამოირჩევიან თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის საბაზო საწარმოები. თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკასა და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელში“, ქარხანა „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲛᲘᲡᲘ“ ᲓᲐᲛᲬᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲐ

მართვა თანამედროვე დონეზე

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲚᲘ მეურნეობის მართვის სისტემას სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს წარმოების გაზრდილი მასშტაბები. ჩვეულის ეკონომიკის დინამიკური განვითარება თავისთავად სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას მოითხოვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის საბინეტიერო ორგანოებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის კომპლექსზე გადაყვანილია 209 საბაზო საწარმო და გაერთიანება ანუ მთელი საწარმოთა 23 პროცენტი. პროდუქციის ხვედრითმა წილმა რესპუბლიკაში გამოშვებული მთელი პროდუქციის 45,2 პროცენტი შეადგინა.

იმ რეგიონებში, სადაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავენ მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდის დანერგვისათვის, საქმე კარგად მიდის. ამ მხრივ გამოირჩევიან თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის საბაზო საწარმოები. თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკასა და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელში“, ქარხანა „ᲡᲝᲮᲣᲛᲑᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲜᲨᲘ“, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲣᲠ-ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

განახლების აუცილებლობა!

„ბაიადერა“ ქვლავ სცენაზეა

თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ქვლავ დაუბრუნდა მინკუსის ბალეტ „ბაიადერას“ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის რედაქციით.

„ბაიადერა“ კლასიკური რეპერტუარის ოქროს ფონდს და რომანტიკული მომართულების ბალეტთა რიგს განეკუთვნება, თუმცა სიუჟეტური ქარგა, კონფლიქტების განვითარება და შექმნილი სიტუაციები მელოდრამატული ჟანრის თვისებებს ატარებს.

მას შემდეგ, რაც ვახტანგ ჭაბუკიანმა მხედართმთავარ სოლორის როლის ქორეოგრაფიული ტექსტი ძირფესვიანად გადაახალისა და სახიერი ცეკვით გაამდიდრა, სულ ახლებური ელფერადობა მიენიჭა დუეტურ ცეკვებსაც. ისინი დრამატურგიულად გაიმართა და გამომსახველობის ძალა შეემატა. ამ გარემოებამ სპექტაკლის წამყვან პერსონაჟთა შორის დამოკიდებულების ემოციურობა უფრო გააძლიერა, პლასტიკურად დაასურათხატა. ამით უნდა აიხსნას, რომ თითქოსდა მომველებული ესთეტიკური პრინციპით შექმნილი მუსიკისა და მიამიტური სიუჟეტის მიუხედავად, ეს ბალეტი მაყურებელს იზიდავს უხვად გაბნეული ნაირგვაროვანი სახასიათო ცეკვებით, სხვადასხვა ფორმის ვირტუოზული კლასიკური ანსამბლებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ, ინდივიდუალური თვისებებს მქონე მოცეკვავე მსახიობებს მოითხოვს. პრემიერაზე ბალეტის მთავარი მოქმედი პირის, ქურუმი ქალის ნიკიას პარტიაში ვიხილეთ დამსახურებული არტისტი ნ. არობელიძე (მეორე შემადგენლობაში — ს. გოჩიაშვილი). ქორეოგრაფიული ფაქტურის თვალსაზრისით როლი საინტერესოა მოძრაობათა ნაზაზის და ინდოეთის ეროვნულ კოლორიტში მკაფიოდ გამოსახული პოზების ნაირსახეობით, შერბილებულ გადასვლა-გადანაცვლებას რომ მოიიხოვს. ნ. არობელიძის ცეკვას სწორედ პლასტიკური სირბილე, მოძრაობის კანტილენური თვისება ახასიათებს. გვახსოვს ეს ბალერინა 1972 წელს დადგმულ „ბაიადერაშიც“. მაშინ ჯერ კიდევ დამწყები მოცეკვავე შთაბეჭდილებას ახდენდა გულწრფელობით, უშუალობით. ახლა მას გაუჩნდა განცდის გაღრმავების ტენდენცია, რამაც მისი ცეკვის პლასტიკურ ინტონაციებს თავისებურად ელფერი შემატა, ხოლო ს. გოჩიაშვილი, რომელიც დრამატული პლანის როლებისადმია მიდრეკილი, შინაგანი, უფრო აღზნებული რიტმით გამოირჩეოდა.

სოლორის საცოლე გამზათი გაასახიერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ირინე ჯანდიერმა. მან ქორეოგრაფიულ პარტიაში გამოკვეთა რწმენა იმისა, რომ რაჯის ასულის სურვილსა და ნებას ემორჩილება ყველაფერი, თავად სიყვარულიც კი. ხასიათის ამ წახნაგს იგი ავლენს ზვიადი ელფერის მოძრაობებით და თავმომწონე იერით აღბეჭდილი ვირტუოზული პასაჟებით, რომლებიც განსაკუთრებულ კულმინაციას სოლორთან დუეტში აღწევს. რ. აბაშიძის გამზათი საინტერესო იყო ნიკიასთან შეხვედრის სცენაში. მის მოქმედებაში ჩანს, სოლორის ისეთი სიყვარული, რომელსაც ცოცხალი თავით არ დათმობს. ამ ქვეტექსტის მიხედვით არის დამუშავებული დიალურად ყველა პლასტიკური აქცენტი.

პრემიერა საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ ბევრი ახალგაზრდა გამოავლინა. ამ შემთხვევაში ვ. ჭაბუკიანის მუშაობის პრინციპი, რომელიც პრაქტიკული და ჰედაგოგიური მუშაობის შეთავსებას გულისხმობს, ძალიან ნაყოფიერია. ყოველ ახალ დადგმასთან ერთად ერთ-ერთ ან ორ ახალგაზრდა ადამიანს ანდობ ამ ცეკვა დაჩრდილულა. მეორე შემსრულებლად მოგვევლინა კლასიკური სტილის მოცეკვავე ს. ტერეშჩენკო, რომელიც უკვე კარგა ხანია ნებისმიერ პარტიას პროფესიული დახელოვნებით ასრულებს.

ახალგაზრდებიდან ყურადღება მიიქცია ლ. ბახტაძის (პა-დე-ტრუა მე-2 და მე-3 მოქმედებაში) შესანიშნავმა მონაცემებმა. მსუბუქი ნახტომი, მაღალი ნაბიჯი, მოძრაობის ფორმების ბუნებრივი შეგრძნება ამის საწინდარია, რომ მომავალში მას სოლო პარტიებში ვიხილავთ. კურსდამთავრებულთაგან ი. დემიანკოვამ მკვირცხლად შეასრულა ინდუსური ცეკვა. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნ. გრძელიშვილის საინტერესო აქტიორული ინდივიდუალურობის ჩამოყალიბების ფაქტი, მეტად თავისებურ აზარტულ, გადამდებად ხალისიან ცეკვის მანერაში რომ გამოიხატება (ინდუსური).

ბალეტის ქორეოგრაფიის წარმატებით დაძლევაში ყველა მონაწილეს მიუძღვის წვლილი და მათ შორის მიმიკური როლების შემსრულებლებსაც: ვ. პრისიაჟნიუკს (შთავარი ბრამინი) და გ. ძასხოვს (რაჯა), მათი გამართლებული, დასრულებული ჟესტი-ქმედება ავსებდა სცენურ სიტუაციებს შინაარსის გამომხატველი დეტალებით. მწყობრად დასრულდა ყველა კლასიკური ანსამბლი და ჩვენ ვუსურვებთ ლ. კავჩინსკაიას, პ. და ლ. ჩხეიძეებს, ა. აბესაძეს, მ. ნემსიწვერიძეს, რ. ჯაფარიძეს, ლ. გაგანინას, ჯ. ცხვედიანს, ვ. ბახტაძეს, პ. რომანიუკს და სხვებს ისეთივე შემოქმედებითი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ ნამუშევარს, როგორც პრემიერაზე, რადგან მაყურებელს არანაკლებ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს კორეფეთა და კორდებალეტის ცეკვა.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა ხელმძღვანელობდა ბალეტის დეკორაციული გადაწყვეტის ფერწერული პრინციპით, რომელიც, ჩვენი აზრით, არ გამორიცხავს ლაკონური სცენური ჯარემოს შექმნას.

მხატვარი უფრო თხრობით გარემოს, სიუჟეტური ქარგის მხატვრულ ასახვას გაჰყვა, მან საცენური მოქმედების არე დატვირთა ჰარბი ფერებით და აქსესუარებით. განსაკუთრებით პირველ ორ მოქმედებაში, ამან კი ხელი შეუშალა ფერწერულად და ფორმით მთელი რიგი ეფექტური კოსტიუმების აღქმას.

სპექტაკლმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია კლასიკური მემკვიდრეობის შენახვა და განახლება დასის პროფესიული დონის შენარჩუნების მიზნით. ბალეტის მუსიკა მკვრიელი, საცეკვაო რიტმებით გამორჩევა და, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საბალეტო ნაწარმოებებთან შედარებით მარტივი მუსიკალური აზროვნებით ხასიათდება, სამაგიეროდ ძალზე მელოდიერია. სპექტაკლის წამყვანმა დირიჟორმა რ. ტაკიძემაც სწორედ ეს მხარე, თემების ეს გამჭვირვალობა გააძლიერა.

ნონა გუნია,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

სურათზე: მინკუსის ბალეტ „ბაიადერას“ ერთ-ერთი სცენა.
ჯ. ლომპაძის ფოტო.

ავხაზური გულის სითბო

□ □

ჯ. ჩარკვიანის საღამო სოხუმში

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში აფხაზეთის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელსაც ახლახან დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავჯდომარემ მ. ლასურიამ. მან ილაპარაკა ჯ. ჩარკვიანის, როგორც შესანიშნავი ლირიკოსის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის შემოქმედებაზე, აღნიშნა, რომ მისი ლექსები ქართულ აფხაზურადაც. ისინი სიყვარულით თარგმნეს ცნობილმა აფხაზმა პოეტებმა.

იუბილარს მიესალმენ ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორი, პოეტი გ. გუბელია, მწერალი ა. სულაკაური, კრიტიკოსი რ. თვარაძე, პოეტები ივ. თარბა, გ. ქალანდია, ნ. კვიწინია, პ. ბებია.

ჯ. ჩარკვიანის ლექსები წაიკითხეს სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ე. მარანინამ.

საღამოს დასასრულს ჯ. ჩარკვიანმა გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებრიობას გულითადი მიღებისათვის და წაიკითხა საკუთარი ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე.

საუბილეო საღამოს დაესწრნენ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბოლავა და სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

დაიწყო თბილისის ტური

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო კალათბურთელ ვეთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპი.

გთავაზობთ ასპარეზობის პირველი დღის მატჩების შედეგებს: კაუნასის „ჟალგირისისა“ და ტალინის „კალევის“ შეხვედრა არ შედგა ტალინის „კალევის“ ჩამოუსვლელობის გამო, ცსკა—რიგის ვეფი — 106:94, ვილნიუსის „სტატბა“ — მოსკოვის „დინამო“ — 80:94, კიევის ასკ — ლენინგრადის „სპარტაკი“ 101:77, ყუბიშევის „სტროიტელი“ — კიევის „სტროიტელი“ 62:75, თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტის მატჩი არ შედგა მინსკელ კალათბურთელთა ჩამოუსვლელობის გამო.

გ. მაჭარაშვილი—უძლიერესთა შორის

ჟელსინკში დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, სსრ კავშირის, შვეციისა და ფინეთის ფალავნები, 100-მდე ოსტატი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.

საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებმა შვიდ წონითს კატეგორიაში გამოდიოდნენ და სამმა მათგანმა პირველი ადგილი მოიპოვა. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ როსტოველი ილია როსტოცევი (57 კგ წონითი კატეგორია), თბილისელი გურამ მაჭარაშვილი (62 კგ) და ტერნოპოლელი ანატოლი ელჩინინოვი (100 კგ-ს ზევით).

თბილისელ ჭანმოვარჯიშეთა წარმატება

ტალინში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც წლეულს მეშვიდედ მოეწყო. შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა ტანმოვარჯიშეებმა, რომელთაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტაშკენტისა და ტალინის ნაკრები გუნდები.

პირად შეჯიბრებაში პირველი დღის შემდეგ ლიდერობდა თბილისელი ი. გაბაშვილი, მეორე ადგილზე წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი ჟუკოვსკელი. ი. დევნა, მესამეზე — თბილისელი ა. ქემჩუქინა.

მეორე დღეს გურზებით ვარჯიშისას ი. დევნამ უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მოიპოვა და საბოლოოდ გაიხადა პირველი ადგილი, მრავალჭიდში მეორე იყო ი. გაბაშვილი, მესამე — ი. ქემჩუქინა.

ქალთა საზონათშორისო

ბაადრაკი. ლენინგრადში დასასრულს უახლოვდება მოჭიდრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. მოეწყო ათი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება, მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურები.

გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: ტ. ზატულოვსკაიამ მოუგო ზ. ელენჩუკს და ყაიმზე შეთანხმდა ლ. ზაიცევასთან, მ. რანიკუმ დაამარცხა ი. ოსტრიი, ტ. ჩეზოვამ — ტიტორენკო, ყაიმით დამთავრდა კოზლოვსკაია-ზაიცევას, ელენჩუკ-ტიტორენკოს, ოსტრიი-ე. ეშტეინისა და ეშტეინ-ლ. სემიონოვას პარტიები.

მეთერთმეტე ტურში სემიონოვამ დაამარცხა რანიკუ, ყაიმზე შეთანხმდნენ ე. ფატალიბეკოვა და ლ. მუზიჩიკი. დანარჩენი პარტიები გადადიდო. **მეთორმეტე ტურში** მინოგენამ მოუგო ზენჩიკს, ყაიმით დამთავრდა ოსტრიი-სემიონოვას პარტია. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

ამ. ი. ჭანუყვაძე

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო მუშაკი და ღვაწლმოსილი სპეციალისტი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, 1942 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **მიხეილ ილარიონის ძე ჭანუყვაძე.**

მ. ჭანუყვაძე დაიბადა 1907 წელს ქ. ოზურგეთში (მახარაძე) ღარიბი გლეხის ოჯახში. 1929 წელს დამთავრა გორაბერეჟოლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რის შემდეგ მუშაობდა მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში აგროტექნიკოსად. 1935 წელს წარჩინებით დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო მახარაძის მანქანა-ტრაქტორების სადგურში აგრონომად. შემდეგ სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის მთავარ აგრონომად, რაიმიწგანის გამგედ, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგედ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და შემდგომ პერიოდში მან ნაყოფიერი მუშაობა გასწია მახარაძის რაიონში ჩაის კულტურისა და ციტრუსოვანთა გაშენება-განვითარებისათვის. სწავლული აგრონომის მოვალეობასთან ერთად აქტიურად ასრულებდა პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს, მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომისა და ბიუროს წევრად, რაიონულ საბჭოს დეპუტატად და რაიალმასკომის წევრად.

1953-1975 წლებში მ. ჭანუყვაძე მუშაობდა მახარაძის სატყეო მეურნეობის დირექტორად, სადაც საქმე დიდი ცოდნა და სიყვარული გამოვლინა. მისი ინიციატივითა და ხელძღვანელობით მოეწყო შავიზღვისპირეთის ზოლის გამწვანება მალთაყვიდან მდინარე ჩოლოქამდე.

1976 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მ. ჭანუყვაძე მუშაობდა მახარაძის სატყეო მეურნეობის ფაუნის დაცვის უროსად. ამ სამუშაოზეც, როგორც ჩვენი ფლორისა და ფაუნის ერთგული ქომაგი, იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ბუნების დაცვის, ტყის განახლებისა და გამდიდრებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მ. ჭანუყვაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით.

მ. ჭანუყვაძის პიროვნებაში შერწყმული იყო კომუნისტი ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებანი, რითაც ავტორიტეტი და სიყვარული მოიხვეჭა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პარტიისა და ხალხის სამსახურში, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებისა და ბუნების დაცვა-გამრავლების საქმეს შეალია. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და სატყეო მეურნეობისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მახარაძის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

მიხეილ ილარიონის ძე ჭანუყვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 25 დეკემბერს.

რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

23 დეკემბერი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეატრი უპირველეს ყოვლისა“, 11.40 — „აშკარა — დაუჯერებელი“ (მ.), 12.40 — კინონარკვევი, 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 13.30 — მხატვრული ფილმი „ბედი“, მეორე სერია, 14.35 — ფილმ-სპექტაკლი — „მილიონერი ქალი“, 17.15 — შვილისწავლოთ გერმანული ენა, 17.45 — დოკუმენტური ფილმი, 18.00 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 18.20 — „გაანალიზოთ ერთად“. 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებები „მაძიებლები“, 19.20 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლეგენდების კუნძული“, 19.30 — „პარტიის საინფორმაციო დასაყრდენი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.40 — მხატვრული ფილმი „მკვდარი სეზონი“. პირველი სერია, 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — სპარტაკ ბალაშვილი, 23.35 — ახალი ამბები, 23.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“. მეორე გაიმის ვიდეოფრაგმენტი.

მეორე პროგრამა: 17.05 — სტუდენტებისათვის — მასალათა განხილვა, 17.50 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვებსა და მთებს იქით“, 18.00 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია, 18.45 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასაბერი გზა მოგრილია“. მესამე სერია.

КОМУНИСТИ ИМЕРЕТИ ... 15467 — საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთი „ლენინის ... 14. ... ოზურგეთი. საგაზეთო კორპუსი, ... 29.

საგამოფენო დარბაზებში

რაც ოცწელიწადში შექმნილა...

გამოცანა „მერანმა“ თავისი საგამოფენო დარბაზი დაუთმო მხატვარ-გრაფიკოსის გივი კერვალიშვილის ნამუშევართა პირველ პერსონალურ გამოფენას. 120 ნამუშევარმა საკმაო სისრულით წარმოაჩინა ხელოვნის ოცწლიანი შემოქმედებითი გზა.

გივი კერვალიშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს პლაკატის ჟანრში. მისი პლაკატები ყურადღებას იპყრობს უპირველესად გონებამახვილური ფორმით, გამომგონებლობით, პლასტიკურობით, ფრიად სეროზული თემის „ირიკატურის ხასიათში გადაწყვეტით.

განსაკუთრებული სიყვარულითა და გატაცებით მუშაობდა გივი კერვალიშვილი ილუსტრაციების ციკლზე ნოდარ დუმბაძის რომანისათვის „ნუ გეშინია, დედა“ (ტუში, კალამი). მხატვრისთვის შინაგანად ახლობელია დუმბაძის პროზა, მისთვის დამახასიათებელია ლირიკისა და იუმორის სინთეზი.

ცირკის საინტერესო სამყაროს გივი კერვალიშვილმა, აფიშებისა და კოსტუმთა ესკიზების გარდა, რამდენიმე დაზგური ნამუშევარიც მიუძღვნა: „ცირკი“ (ფერადი ლითოგრაფია), „ჯამბაზები“ (ლინოგრავიურა) და სხვა. მხატვარს ცირკში იტაცებს არა მარტო ბუფონადა, გროტესკი, წარმტაცი სანახაობრიობა, არამედ აგრეთვე ცირკის ხელოვნთათვის დამახასიათებელი გამბედაობა, ფიზიკური სიძლიერე, რაც გივი კერვალიშვილის შემოქმედებაში თავისებურად აისახა. მას იზიდავს ძლიერი, ჰარმონიულად სრულყოფილი ადამიანის სახე—იქნება იგი მითოლოგიური პიროვნება, წინაპარი თუ თანამედროვე. აქედან იღებს სათავეს მის მიერ შექმნილი ციკლი „სულხან-საბა ორბელიანი“, „პეტრე პირველი და ალექსანდრე ბაგრატიონი“, ფუცულები „ჭრომეთე“ და „კოლხი“. აღსანიშნაავია, რომ მხატვრის სადიპლომო ნამუშევარი — ანა ანტონოვსკაიას რომანის „დიდი მოურავის“ გაფორმება — გიორგი სააკაძის სახე მთლიანია, ვაჟკაცური და არა ტრაგიკული სირთულით აღბეჭდილი. შემოქმედმა უარყო სცენების ნატურალისტურად, ყოფითი პლანით ასახვა და გაბედულად შეეჭიდა ასოციაციურ-სიმბოლურ გადაწყვეტას, გარემოსა და პერსონაჟთა რთული, პირობით-სივრცობრივი შეპირისპირებით.

გ. კერვალიშვილის ბოლოდროინდელ ნამუშევარში — მოზაიკურ პანოებში (თბილისის მე-6 სახანძრო რაზმის შენობის ფასადზე) — მხოლოდ დეკორატიული გამომსახველობა და მონუმენტური განზოგადოება როდია ხორცშესხმული, არამედ იგრძნობა მხატვრის სიყვარულიც მეხანძრეებისადმი — ვაჟკაცური პროფესიის ადამიანებისადმი. კომპოზიციის კვანძში, მის ემოციურ ცენტრში ცეცხლთან მებრძოლი მეხანძრის დინამიკური სახეა.

სწრაფვა ექსპრესიისადმი, დინამიზმი თავს იჩენს გივი კერვალიშვილის სხვა ეტაპის ნამუშევრებშიც — აფიშებსა და პლაკატებში, გრაფიკულ სერიებში „თულუხჩები“ და „ცეკვები“, ქართული ხალხური ზღაპრის „მოვდელი და ღარიბი კაცის“ ილუსტრაციებში.

გამოფენაზე წარმოდგენილია პორტრეტები, რომლებშიც იგრძნობა ფსიქოლოგიური წვდომა, ხასიათის თვალსაჩინოდ წარმოჩენა („და-ძმა გიგაურები“, „კ. ციცაშვილი“, „ირენა“).

სიმონ შახბაზოვის პორტრეტში (ფერადი ლინოგრავიურა) მხატვარმა ლაკონიურად და შთამბეჭდავად გადმოსცა პოეტის რთული შინაგანი სამყარო. პასტელით შესრულებულ პორტრეტებში — „ზოსია“, „ნინო“, „რობერტ ზალინაშვილი“ — ფერწერული სიმდიდრე შერწყმულია მახვილ გრაფიკულ გამომსახველობასთან.

გ. კერვალიშვილის მხატვრობა თემებითა და ფორმის გადაწყვეტით, ერთი შეხედვით, „მარტივი“ ჩანს. მხატვრის ჰუმანური ეთიკური პოზიცია მჟღავნდება მისწრაფებაში — გასაგები ენით ისაუბროს ყველასათვის საინტერესო, ჩვეულებრივ თემებზე, ისაუბროს უპრეტენზიოდ და შთამბეჭდავად, რაშიც ვლინდება მისი თავისთავადობა და მაღალი პროფესიული კულტურაც.

ი. ომაძე.

● ●

სურათზე: „პეტრე დიდი და ალექსანდრე ბაგრატიონი“ (გუაში).

წიგნის თარო

ლერმონტოვის ენციკლოპედია

ლიტერატურის შესწავლის ისტორიაში ეშვიათია ასეთი წიგნი. იგი დაისტამბა მოსკოვში და ჰქვია „ლერმონტოვის ენციკლოპედია“. წიგნი შეიცავს 784 გვერდს და, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ეძღვნება ერთი მწერლის — მიხეილ ლერმონტოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნაშრომი ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან იშვიათი შემთხვევაა, რომ ერთი მწერალი ენციკლოპედიური შესწავლის ობიექტი ყოფილიყოს.

წიგნის ხელში აღებისთანავე უმალ ნიკოლოზ ბარათაშვილი გამახსენდა, რა დიდ მიღწევად შეგვეძლო ჩაგვეთვალა „ნიკოლოზ ბარათაშვილის ენციკლოპედია“, რომლის მასალებიც მრავლად მოგვეპოვება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა თუ მსოფლიო ლიტერატურაში.

„ლერმონტოვის ენციკლოპედიის“ ერთტომეულს, როგორც მკითხველის მიმართ დაწერილი წერილიდან ჩანს, თავისი ისტორია აქვს. ამგვარი წიგნი საბჭოთა კავშირში პირველია. 1958 წელს ლ. სემიონოვის წინადადებით დაწყებულა ენციკლოპედიის ავტორთა და მასალათა შერჩევა-შეკრება და სიტყვანის დამუშავება. სამუშაოში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე რუსული ლიტერატურის ინსტიტუტს (პუშკინის სახლი) და „საბჭოთა ენციკლოპედიის“ ლიტერატურისა და ენის რედაქციას, სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ ჟეცნიერებს (272 მკვლევარს).

ენციკლოპედიას ერთვის ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ლიტერატურა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ლერმონტოვის რითმათა ლექსიკონი, ლერმონტოვის ენაში სიტყვათა ხმარების სიხშირის ლექსიკონი, რომლიდანაც გამოყოფილია ათასჯერ და მეტად ხმარებული სიტყვათა რიცხვი. აქვეა პოეტის შემოქმედების პერიოდების მიხედვით ნახმარი ლექსიკა, აგრეთვე ლერმონტოვის ენციკლოპედიის წერილების მაჩვენებელი (ცალ-ცალკე ლექსებზე, თეორიაზე, პოეტიკასა და მსოფლმხედველობაზე), პოეტის ნაცნობების, ნათესავებისა და სხვათა ბიოგრაფიული ცნობები. აქვეა ლერმონტოვის ლექსების მიხედვით შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებთა მაჩვენებელი, ლერმონტოვი სახვითს ხელოვნებაში, კინოში, თეატრში...

ლერმონტოვი იმ რუს პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებისთვისაც საქართველო მრავალფეროვანი შემოქმედების წყარო იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართულ მასალას ენციკლოპედიაში თავისებურად საინტერესო ადგილი უჭირავს. საქართველოში ნახმა და განცდილმა ლერმონტოვის პოეტურ შემოქმედებაში ხომ ბრწყინვალე ასახვა ჰპოვა.

ენციკლოპედიის წესით მასალა ანბანის რიგზეა დალაგებული, რომელშიც ქართული ნაწილის პირველ ადგილზე ირაკლი ანდრონიკაშვილი არის მოხსენიებული როგორც ჩვენი დროის ლერმონტოვის შემოქმედების ერთ-ერთი დიდი მცოდნე. წერილში ჩამოთვლილი და დახასიათებულია მკვლევარის შრომები. აქვეა პროფესორ ვ. შადურის წერილი „არაგვი“. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რომელ თხზულებებში აქვს დასახელებული პოეტს ეს მდინარე, რის მოსმენა შეეძლო ლერმონტოვს არაგვის ხეობაში და როგორ გამოიყენა მოსმენილი. მოზრდილი წერილია „საქართველოს სამხედრო გზა“, რომელშიც მკითხველი გაეცნობა, თუ როგორ აისახა ეს მაგისტრალი ლერმონტოვის შემოქმედებაში, რომელ თხზულებებშია იგი მოხსენიებული და ვის და რას შეიძლებოდა შეხვედროდა პოეტი ამ გზაზე და ზეკარზე გადმოსვლა-გადასვლისას 1837 წელს. პატარა ცნობაში ნინო ჭავჭავაძეზე აღნიშნულია მისი შეხვედრის შესაძლებლობა პოეტ ალ. ჭავჭავაძესთან თბილისში ან წინანდალში, რაც იქნებ ლერმონტოვის ლექსის „ხანჯლის“ დაწერის საბაბი იყოს. აქვეა წერილები „ქართულ სიმღერაზე“, „საქართველოზე“ და „ლუდის მთაზე“.

პროფესორ ვ. შადურს ეკუთვნის აგრეთვე მიმოხილვა „ლერმონტოვი და ქართული ლიტერატურა“. აქ მოთხრობილია, თუ როდის გაიცნო ქართველმა მკითხველმა ლერმონტოვი, როგორ თანდათან გამოსხივდა რუსი პოეტის სახელი ჩვენში, დასახელებულია მის ნაწარმოებთა მთარგმნელები, გამოკვლევათა ავტორები, რომელთა შორის არიან ილია ჭავჭავაძე, გ. წინამძღვრიშვილი, მ. ყიფიანი, მ. გურიელი, ვაჟა-ფშაველა, გრ. აბაშიძე, შ. დადიანი, დ. შენგელაია, გ. ქიქოძე... ლერმონტოვის ქართველ მთარგმნელთა შორის პირველია რევაზ ერისთავი. მისი თარგმანი, მართალია, სუსტია, მაგრამ მაინც პირველია. სასურველი იყო ენციკლოპედიაში მთარგმნელის სახელი სრულად დაბეჭდილიყო, რადგან ბევრს შეიძლება რაფიელ ერისთავი ეგონოს, რომელიც ასევე ბევრს თარგმნიდა. ლერმონტოვის პირველი მთარგმნელი კი რევაზ შალვას ძე ერისთავია, რომელიც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილით. ენციკლოპედიისათვის ქართული მასალა, ჩანს, სრულად არ არის მიწოდებული, თორემ არ შეიძლებოდა რევაზ ერისთავთან ერთად პოეტის ქართველ მთარგმნელთა შორის არ ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი მიხეილ ფავლენიშვილი, იასე სულხანშვილი, ილია ფერაძე (ამ ორმა სხვადასხვა დროს თარგმნა „პალესტინის რტო“), რევაზ ბარათაშვილი, დუტუ მეგრელი, კონსტანტინე ჯაფარიძე, ივანე ახალშენიშვილი და სხვა.

ქართული ლერმონტოვიანა კარგად არის წარმოდგენილი ენციკლოპედიაში, თუმცა შეიძლებოდა ზოგი რამ დამატებოდა. მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს, გარდა „მასკარადისა“, ქართულ სცენაზე იდგმებოდა ცოცხალი სურათები „დემონიდან“. შეიძლება ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ცნობილმა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ლერმონტოვის თხზულებების მიხედვით რამდენიმე შესანიშნავი სურათი შექმნა, რომლებიდანაც ქართული ტიპები გამოსჭვივის, სურათები „დემონიდან“ დუშეთშიც კი დაუდგამთ (1899 წელს). ენციკლოპედიაში მოხსენიებულია ირაკლი თოიძე, მხატვარი, რომელსაც ეკუთვნის ლერმონტოვის პორტრეტი, ილუსტრაციები „მზირის“ და „აშუღ ყარიბის“ თემაზე, მაგრამ კარგი იქნებოდა მოხსენიებული ყოფილიყო მხატვარი ანტონ გოგიაშვილი, რომელმაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში „ჰაჯი აბრეკის“ ილუსტრაციები შექმნა. ლერმონტოვის მსახურზე ქრისტეფორე სანიკიძეზე ენციკლოპედიაში ნათქვამია (რ. ბელაშის წერილ